საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№5 პერიოდული გამოცემა 2015 წ. მაისი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

მაისი სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმატებულად დაიწყო. საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონპროექტთა პაკეტი, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველსა და სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლებას ანიჭებს; საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციები განიხილა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა სამინისტროთა პოზიციები მოისმინა. მართალია, რეკომენდაციების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებლად არ მეჩვენება, თუმცა მისასალმებელია თავად ფორმატი და კომიტეტის მხრიდან გამოჩენილი დიდი ინტერესი.

ტრადიციულ დებატებზე საქართველოს პრეზიდენტმა განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი სახალხო დამცველის აპარატის დამსახურებას ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში და სახალხო დამცველის უფლებებისა და საქმიანობის განმახორციელებელი მექანიზმების გაზრდის მიზანშეწონილობაზეც ისაუბრა.

წინა წლებთან შედარებით, სახალხო დამცველის ინსტიტუტისადმი დამოკიდებულება მხოლოდ სახელისუფლებო წრეებში არ შეცვლილა, საზოგადოების მხრიდანაც მეტ ნდობას ვგრძნობთ, რასაც მოქალაქეთა ერთიორად გაზრდილი მომართვიანობაც ადასტურებს.

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. მთავარი მოვლენა 2
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 3
4. გასული თვის მოვლენები 3
5. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურების პერიოდული საქმიანობა 8
6. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული ოფისების საქმიანობა 9
7. სხვა სიახლეები 10
8. მნიშვნელოვანი თარიღები 11
9. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 12
10. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 14
11. კონტაქტი 14

გასულ თვეს რამდენიმე საინტერესო შეხვედრა მქონდა თბილისშიც და საზღვარგარეთაც. ოფიციალური ვიზიტით ვიმყოფებოდი ისრაელში, სადაც თანამშრომლობის მემორანდუმი გავაფორმე ისრაელის ომბუდსმენთან, მონაწილეობა მივიღე ანტისემიტიზმის წინააღმდეგ გამართულ მე-5 გლობალურ ფორუმში.

26 მაისს დამოუკიდებლობის დღე აღვნიშნეთ. საქართველომ დიდი და რთული გზა განვლო დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და როგორც ყოველთვის, ახლაც დასაცავი გვაქვს ჩვენი ქვეყნის საზღვრები, ჩვენი ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე, ჩვენი მოსახლეობის უფლება იცხოვრონ თავისუფალ, დემოკრატიულ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელ პატივისცემაზე დაფუძნებულ სახელმწიფოში.

ამ თვეში რამდენიმე სამწუხარო ამბავიც მოხდა, რომელთაც გვერდს ვერ ავუვლი. ქობულეთში, სასტუმრო „არმაზში“ მომხდარი ხანძრის შედეგად სამი ბავშვი დაიღუპა. ვუთანაგრძნობ დაღუპულთა ოჯახებს ამ ტრაგედიას გამო. ეჭვგარეშეა, რომ ქვეყანაში საგანგებო სიტუაციების პრევენცია და მათ შორის, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გამართული ფუნქციონირება სათანადოდ არ ხორციელდება, რაზეც აუცილებელია პასუხისმგებლობა და კონტროლი სახელმწიფომ განახორციელოს.

შემაძრწუნებელი ფაქტი მოხდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ სოფელში, სადაც ახალგაზრდა კაცმა თავისი 3 მცირეწლოვანი შვილი სასტიკად ცემა. სამწუხაროდ, საქართველოში კვლავ არაერთი ბავშვია ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი. ამ პრობლემის აღმოფხვრა სამოქალაქო განთლების მიმართულებით ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს, მაგრამ რეაგირება აუცილებლად მყისიერი უნდა იყოს.

ბიულეტენში ჩვეულებისამებრ, იხილავთ ინფორმაციას ჩვენი მიმართვების შესახებ ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ორგანოებისადმი, შეხვედრებს, კონფერენციებს, ანგარიშებსა და სხვა მნიშვნელოვან აქტივობებს, რომელსაც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ახორციელებს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით.

2. მთავარი თემა

2.1. სახალხო დამცველსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლება მიენიჭება

1 მაისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა „პატიმრობის კოდექსი“ და მისგან გამომდინარე მოცულობით კანონ-პროექტთა პაკეტი, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს პენიტენციურ დაწესებულებებში 2016 წლის 1 სექტემბრიდან ფოტოგადაღების უფლებას ანიჭებს.

მთავრობის საკანონმდებლო პაკეტი სასჯელაღსრულების სისტემაში ინსტიტუციური რეფორმის განხორციელებას ისახავს მიზნად. ცვლილების თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს პენიტენციურ დაწესებულებაში, როგორც ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა, ასევე მათი უშუალო განთავსების პირობების, დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის, კვების ობიექტის, საერთო სარგებლობის საშხაპის, საერთო სარგებლობის საპირფარეშოს, შეხვედრის ოთახისა და გასეირნების ადგილების ფოტოგადაღების უფლება მიენიჭა.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილება წინგადადგმული ნაბიჯია თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებათა დაცვის, მათ შორის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის დანაშაულის პრევენციისათვის.

2.2. სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობა

21 - 22 და 25 მაისს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში სახელისუფლებო უწყებების წარმომადგენლებმა საქართველოს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ 2014 წლის ანგარიშში მოყვანილი რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენებები წარმოადგინეს.

შეხვედრის გახსნისას საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა 2014 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით გამოკვეთილ ტენდენციებსა და პრიორიტეტებზე ისაუბრა. მოკლედ მიმოიხილა ვრცელი, საპარლამენტო ანგარიშის თემატიკა, ასევე ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მისამართით შემუშავებული ძირითადი რეკომენდაციები. აღნიშნა, რომ ზოგიერთი რეკომენდაცია უკვე რამდენიმე წელია მეორდება, ვინაიდან, მიუხედავად აქტუალობისა, ადრესატებს ისინი კვლავ არ გაუთვალისწინებიათ.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში

სამი დღის განმავლობაში 15 სამინისტროსა და მთავრობის სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებმა სახალხო დამცველის რეკომენდაციებისადმი თავიანთი დამოკიდებულება გამოხატეს. მათი განცხადებით, ანგარიშში მითითებული რეკომენდაციების დიდი ნაწილი შესრულებული, ან შესრულების პროცესშია. თუმცა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ბევრი რეკომენდაცია რეალურად შეუსრულებელია.

25 მაისს **სახალხო დამცველმა პარლამენტსა და სახალხო დამცველს შორის ჩამოყალიბებული ფორმატის შენარჩუნებაზე ისაუბრა.** დადებითად შეაფასა, რომ ცალკეულმა უწყებებმა უკვე დაიწყეს სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულებაზე მუშაობა, თუმცა არსებული პრობლემების საბოლოო აღმოფხვრამდე, საქმე დასრულებულად არ ჩაითვლება.

საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ წარმოდგენილი რეკომენდაციების განხილვისას სახალხო დამცველმა ის კანონები მიმოიხილა, რომელთა სრულყოფილად ამოქმედებისთვის დამატებითი რეგულაციების შემუშავებაა საჭირო.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი სახალხო დამცველის მიერ 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტს უახლოეს მომავალში შეიმუშავებს.

3. სახალხო დამცველის წინადადება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

3.1. წინადადება იუსტიციის მინისტრს სამოქალაქო აქტებში ტრანსგენდერთათვის სქესის ჩანაწერის ცვლილებასთან დაკავშირებით

18 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, შემუშავდეს და დამტკიცდეს სამოქალაქო აქტებში სქესის ჩანაწერის ცვლილებასთან დაკავშირებული პროცედურული წესი. ამგვარი წესის არსებობა შესაძლებლობას მისცემს ტრანსგენდერ ადამიანებს, ოფიციალურ დოკუმენტაციაში სქესის აღმნიშვნელი ჩანაწერი სწრაფი, ადვილად ხელმისაწვდომი გზით შეცვალონ, რაც მათ თავიანთი ფუნდამენტური უფლებების განხორციელებასა და საზოგადოებაში სრულ ინტეგრაციაში დაეხმარებათ.

მნიშვნელოვანია, საკითხი დარეგულირდეს სპეციალური წესით, რომელიც უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებებისა და გენდერული თანასწორობის მიღწევის სფეროში წარმატებული ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით.

4. გასული თვის მოვლენები

4.1. შეხვედრა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან

4 მაისს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე და თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსი თამარ გაბიანი თავდაცვისა და უშიშროების

კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი სესიაშვილს შეხვდნენ და სახალხო დამცველის აპარატში თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის ახლადშექმნილი დეპარტამენტის მუშაობის სტრატეგია და გეგმები განიხილეს. შეხვედრაზე ხაზი გაუსვეს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში გენდერულ საკითხებს, ვეტერანთა მდგომარეობასა და გასაჩივრების წესის დახვეწას.

ირაკლი სესიაშვილმა დადებითად შეაფასა სახალხო დამცველის აქტიური ჩართულობა და პოზიტიური როლი თავდაცვის სფეროს წარმომადგენელთა უფლებების ფუნდამენტურად დაცვის მიზნით.

4.2. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგის ეროვნული მექანიზმი

5 მაისს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტმა სახალხო დამცველის ხედვა წარმოადგინა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის პოპულარიზაციის, დაცვისა და მონიტორინგის მექანიზმის თაობაზე.

სახალხო დამცველის მიერ შემუშავებული მოდელის თანახმად, მონიტორინგის მექანიზმი მოიცავს შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს, ექსპერტთა ჯგუფს და სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტს.

სახალხო დამცველისა და შშმპ ორგანიზაციათა შეხვედრა სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“

საკონსულტაციო საბჭოს ძირითადი ფუნქცია იქნება კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ეროვნული მექანიზმისთვის/საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის კონსულტაციების გაწევა, მონიტორინგის შინაარსის, სტრატეგიის, პრიორიტეტების, მეთოდოლოგიის და გეგმის განსაზღვრის კუთხით.

სახალხო დამცველის აპარატი შშმპ ორგანიზაციათა ჩართულობით დაიწყებს საკონსულტაციო საბჭოს დებულებაზე მუშაობას, ხოლო შშმ პირები, მათი წარმომადგენლები და თემაზე მომუშავე ორგანიზაციები სახალხო დამცველს საბჭოს წევრობის კანდიდატებს უახლესი ერთი თვის მანძილზე წარუდგენენ.

4.3. განცხადება აფხაზეთის გამყოფ ხაზზე მოზარდის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

6 მაისი. საქართველოს სახალხო დამცველმა მწუხარება გამოთქვა და მიუსამძიმრა აფხაზეთის გამყოფ ხაზზე გარდაცვლილი 12 წლის მოზარდის ოჯახს, რომელსაც საშუალება არ მიეცა გადმოეკვეთა ადმინისტრაციული ხაზი და მიეღო დროული სამედიცინო მომსახურება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად აუცილებელია:

შეწყდეს ადამიანის უფლებების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება და ამ საკითხების პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირება; ქართულმა, აფხაზურმა და ოსურმა მხარეებმა ითანამშრომლონ და გადადგან ქმედითი ნაბიჯები კონფლიქტის ზონებში ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებისაკენ; რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეებმა შეწყვიტონ პაციენტების, მოსწავლეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის უკანონო დაკავებები; რუსეთის ფედერაციამ და დე ფაქტო ხელისუფლებებმა უზრუნველყონ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მისიების შეუფერხებელი მუშაობა; აღდგეს ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შეხვედრები გალის რაიონში; საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები, გაეროს სახელშეკრულებო ორგანოები მეტად ჩაერთონ არაღიარებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესწავლაში, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მონიტორინგის განსახ-

ორციელებლად და შესაბამისი დასკვნების მოსამზადებლად; საქართველოს ხელისუფლებამ გამოიჩინოს მაქსიმალური მოქნილობა მოლაპარაკებების პროცესში, რათა შესაძლებელი გახდეს კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

4.4. განცხადება ქობულეთში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით

10 მაისი. სახალხო დამცველმა ღრმა მწუხარება გამოთქვა ქობულეთში, სასტუმრო „არმაზში“ მომხდარი ხანძრის შედეგად სამი ბავშვის დაღუპვის გამო და უთანაგრძნო დაღუპულთა ოჯახებს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ჩატარდეს დროული, ეფექტური და ყოველმხრივი გამოძიება. შესაძლოა, იკვეთებოდეს სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

ასეთი სამწუხარო ფაქტები კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ყველას, თუ როგორი მნიშვნელოვანია ქვეყანაში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის სათანადო ფუნქციონირება, რომ ეს არის ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხი. მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ სათანადოდ გაიაზროს პასუხისმგებლობა და მიიღოს მის ხელთ არსებული ყველა ზომა საგანგებო სიტუაციების პრევენციისათვის, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების გზით.

4.5. თავდაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელის ყავს

11 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა თინათინ ხიდაშელს თავდაცვის მინისტრის პოზიციაზე დანიშვნა მიულოცა, წარმატება უსურვა მას მომავალი საპასუხისმგებლო საქმიანობის წარმართვაში და იმედი გამოთქვა, რომ იგი ღირსეულად გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას და საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე პირველი ქალი მინისტრის წარმატებული მაგალითი იქნება.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის გარემოება, რომ თინათინ ხიდაშელი საქართველოს ისტორიაში პირველი ქალია, რომელმაც აღნიშნული თანამდებობა დაიკავა. ევროპის ქვეყნებს შორის საქართველო მეხუთე სახელმწიფოა, სადაც თავდაცვის უწყებას ქალი მინისტრი უხელმძღვანელებს.

15 მაისს **სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი თავდაცვის მინისტრს თინათინ ხიდაშელს შეხვდა** და სამხედრო მოსამსახურეთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება განიხილა, რაც თავდაცვის მინისტრის განცხადებით – უწყების მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

შეხვედრა თავდაცვის სამინისტროში

სახალხო დამცველმა მინისტრს თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის სტრატეგია და სამომავლო გეგმები გააცნო. უახლოეს პერიოდში ომბუდსმენის აპარატი თავდაცვის სამინისტროს დაწესებულებების მონიტორინგს გეგმავს. ასევე განიხილება სამხედრო მოსამსახურეთა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაც, რომელიც უფლებების რეალიზაციაზე იქნება ორიენტირებული.

4.6. სახალხო დამცველის ვიზიტი ისრაელში

12 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა და ისრაელის სახელმწიფო ფინანსურმა აუდიტმა და ომბუდსმენმა იოზეფ შაპირამ იერუსალიმში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმი ითვალისწინებს ორი ქვეყნის ადამიანის უფლებათა დამცველი ინსტიტუტებს შორის სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებას; მათ შორის, მხარეთა მიერ აქტიურ თანამონაწილეობას საერთო ინტერესის ამსახველ სხვადასხვა კონფერენციებსა და შეხვედრებში; თანამშრომელთა პროფესიული გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით, სასწავლო ვიზიტებისა და სემინარების მოწყობა/ორგანიზებას; ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ურთიერთგაცვლას.

საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და ისრაელის ომბუდსმენი იოზეფ შაპირა

საქართველოს სახალხო დამცველი ასევე შეხვდა ისრაელის საგრეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორის მოადგილეს ზვი რავნერსა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

საქართველოს სახალხო დამცველი იერუსალიმში ისრაელის მთავრობის მიწვევით იმყოფებოდა, სადაც 12-14 მაისს ანტისემიტიზმის წინააღმდეგ გამართულ მე-5 გლობალურ ფორუმში მიიღო მონაწილეობა.

4.7. განცხადება გურჯაანის მუნიციპალიტეტში მცირეწლოვან ბავშვთა მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შესახებ

18 მაისი. საქართველოს სახალხო დამცველმა დაგმო გურჯაანის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ სოფელში მამის მხრიდან 3 მცირეწლოვან ბავშვზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობა, რომლის შესახებაც საინფორმაციო საშუალებებით გახდა ცნობილი. სამწუხაროდ, საქართველოში კვლავ არაერთი ბავშვია ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი.

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რათა დროულად და ეფექტიანად განახორციელოს ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქო–სოციალური რეაბილიტაცია, უსაფრთხო და სათანადო სააღმზრდელო პირობებით უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიულ მზრუნველობაში განთავსება და შემდგომი ზედამხედველობა.

საქართველოს სახალხო დამცველმა ასევე მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, გონივრულ ვადაში წარმართონ გამოძიება და გამოიყენონ ყველა სამართლებრივი საშუალება საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად; ხოლო საქართველოს მთავრობამ შეიმუშავოს ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებები არასრულწლოვანთა მიმართ ფიზიკური ძალადობის აღმოფხვრისთვის, რომელიც განუხრელად დაიცავს მომეტებული ზრუნვის საჭიროების მქონე მცირეწლოვან ბავშვთა უფლებებს.

4.8. სახალხო დამცველის შეხვედრა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან

20 მაისს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ნინო გვენეტაძეს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში სასამართლო ხელისუფლების მიმართ დაფიქსირებული ხარვეზები, გაცემული რეკომენდაციები და მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების ფარგლებში დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები.

სახალხო დამცველმა ისაუბრა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაზრდის ინიციატივაზე, რომელიც ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებისა და საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემოწმებას გულისხმობს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კანონპროექტის საჯარო განხილვებში აქტიურად ჩართვის მზაობა გამოთქვა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებით მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებაზე, რაც სახალხო დამცველის მიერ იუსტიციის საბჭოსთვის გაგზავნილი რეკომენდაციების სავალდებულო გადამოწმებასა და საჭიროების შემთხვევაში მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაწყებას გულისხმობს.

4.9. სახალხო დამცველის შეხვედრა ევროპის წარმომადგენლებთან

22 მაისს საქართველოს სახალხო დამცველი ევროპის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანა-თავმჯდომარეს ანჯელო გნედინგერსა და ევროპაში სერბეთის რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის მრჩეველს იოვიცა ცეკიჩს შეხვდა. შეხვედრაზე ომბუდსმენმა ხაზი გაუსვა ჟენევის დისკუსიების მნიშვნელობას, გალში ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის აღდგენის აუცილებლობასა და ორმხრივი თემატური შეხვედრების საჭიროებას.

საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და ევროპის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ანჯელო გნედიგერი

ანჯელო გნედინგერის განცხადებით, გასულ წელს ომბუდსმენის ოფისმა მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების მონიტორინგისა და დაცვის კუთხით. მან ასევე გაამახვილა ყურადღება კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებასა და ნდობის აღდგენის პროცესში სახალხო დამცველის განსაკუთრებულ როლზე.

4.10. კონფერენცია განათლების სფეროში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით

28–30 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში ევროპის ომბუდსმენთა ინსტიტუტისა (EOI) და უმაღლეს განათლების სფეროში ომბუდსმენთა ევროპული ქსელის (ENOHI) ერთობლივ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. კონფერენცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა უფლებრივ მდგომარეობას ეძღვნებოდა. სხვადასხვა ქვეყნების სტუდენტთა ომბუდსმენებმა ამ სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევები მიმოიხილეს.

კონფერენციაზე ბევრი ახალი და საინტერესო მიმართულება წარმოჩინდა, რომელთაც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სამომავლოდ, ადამიანის უფლებათა სკოლის ამოქმედებისას გაუწევს ადვოკატირებას, მითუმეტეს, რომ განათლების სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით ჩვენს ქვეყანაშიც არაერთი გამოწვევა არსებობს.

4.11. საჯარო დებატები სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის თემაზე

30 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა მორიგი დებატები გამართა თემაზე – „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობა: მიღწევები და გამოწვევები“. ღონისძიებას მოდერაცია გაუწია ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ ხელმძღვანელმა თამარ ხიდაშელმა.

დებატები საქართველოს პრეზიდენტთან ერთად სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“

საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებების შესახებ აქტუალური საკითხების განსახილველად საზოგადოებაში მეტი სივრცის არსებობის აუცილებლობას და ამ განხილვაში პრეზიდენტის მონაწილეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მოკლედ მიმოიხილა 2014 წელს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობა საქართველოში, შეაჯამა საპარლამენტო ანგარიშში მოყვანილი ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები, გამოყო განსაკუთრებით მწვავე საკითხები. სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა გასულ წელს ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების მიზნით ქვეყანაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებზე ისაუბრა. ხაზი გაუსვა ქვეყანაში ტოლერანტობის კულტურის დონის ამაღლების

საჭიროებას და აღნიშნა, რომ განსხვავებულისადმი სიძულვილის ტირაჟირებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მრავალეროვანი და მრავალრელიგიური საქართველოს სახელმწიფოებრიობას. სიტყვით გამოსვლისას სახალხო დამცველის უფლებებისა და საქმიანობის განმახორციელებელი მექანიზმების გაზრდის მიზანშეწონილობაზეც ისაუბრა.

ორგანიზაცია „ჰუმან რაითს ვოჩის“ წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში გიორგი გოგიამ „ჰუმან რაითს ვოჩის“ ანგარიშის ძირითადი მიმართულებები წარმოადგინა და საქართველოს ხელისუფლების გადამეტებულად მკაცრ ნარკოპოლიტიკაზე ისაუბრა.

დებატები საქართველოს პრეზიდენტთან ერთად სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, სტუდენტები, ჟურნალისტები, თემით დაინტერესებული პირები.

სახალხო დამცველის ყოველთვიური საჯარო დებატები ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობის“ ფარგლებში იმართება.

5. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურების პერიოდული საქმიანობა

5.1. საჩივრების პროექტთან დაკავშირებით განხორციელებული მონიტორინგი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალურმა ჯგუფმა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საჩივართა/მოთხოვნათა განხილვის მექანიზმისა და შიდა მონტორინგის გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში **1–6 მაისს** სასჯელაღსრულების N2 და N14 დაწესებულებები შეამოწმა. ხოლო **7, 8 და 9 მაისს** განახორციელა განმეორებითი, საკონტროლო ვიზიტი ბათუმის N3 დაწესებულებაში.

5.2. ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის სახელმძღვანელო წესები

10-11 მაისს, ბათუმში ევროპის საბჭოს მხარდაჭერითა და გაერთიანებული სამეფოს სასამართლო ფსიქიატრიის კონსულტანტის, სამედიცინო დირექტორის, ოქსფორდის ჯამრთელობის ფონდის ექსპერტ-კონსულტანტის დოქტორ კლაივ მიუს ხელმძღვანელობით, სახალხო დამცველის თბილისის და ქუთაისის ოფისის თანამშრომლებმა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის სახელმძღვანელო წესების შემუშავების მიზნით სამუშაო შეხვედრა გამართეს.

5.3. საინფორმაციო შეხვედრა მარნეულში ადრეულ ასაკში ქორწინებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე

15 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ანა ლობჟანიძემ, მერი მაღლაფერიძემ და სოფიო რუსეცკიმ მარნეულში, ადრეულ ასაკში ქორწინებასა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა გამართეს და პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზები განიხილეს.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა, რეგიონის მაცხოვრებელმა ახალგაზრდებმა და თემით დაინტერესებულმა სხვა პირებმა. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია ადრეულ ასაკში ქორწინებასა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებულ სამართლებრივ ასპექტებზე, დისკუსიის მიმდინარეობისას ისაუბრეს რეგიონში არსებულ პრობლემებზე, ადრეულ ასაკში ქორწინების გამომწვევ ფაქტორებსა და თანმდევ შედეგებზე.

ღონისძიება ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „ოქსფამის“ ტექნიკური მხარდაჭერით ჩატარდა.

5.4. სემინარი ეთნიკური ნიშნით თანასწორობის დაცვის მექანიზმების შესახებ

18 მაისს უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრის (ECMI) მიწვევით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა იზაბელა ოსიპოვამ და ანა კვაჭაძემ მოლდოვის რესპუბლიკაში, ქალაქ ტირასპოლში ჩაატარეს სემინარი თემაზე: „ეთნიკური ნიშნით თანასწორობის დაცვის სპეციალური მექანიზმების საჭიროება“.

სემინარი ტირასპოლში

იზაბელა ოსიპოვამ და ანა კვაჭაძემ ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე სხვადასხვა თემის/დიასპორის წარმომადგენლებს ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებზე თავისი გამოცდილება გაუზიარეს; განუმარტეს საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილება და მის მიერ განხორციელებული საქმიანობა ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით.

5.5. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესის მონიტორინგი

22 მაისს თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თამარ გაბიანმა და გიორგი ძაძუამ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტში მონიტორინგი გაუწიეს წვევამდელთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები დააკვირდნენ სამედიცინო შემოწმების პროცედურას, შეისწავლეს ფიზიკური გარემო, გაესაუბრნენ დეპარტამენტის უფროსს, გამწვევი კომისიის ექიმებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს და წვევამდელებს.

5.6. ტრენინგი სკოლის მოსწავლეებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე

22–29 მაისს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის თანამშრომელებმა ლუკა ჭოჭუამ და ლიკა ბაციკაძემ შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ტრენინგები ჩაატარეს თბილისის 84–ე 143–ე და 174–ე საჯარო სკოლებისა და პირველ ექსპერიმენტული სკოლის მე–9, მე–10 და მე–11 კლასის მოსწავლეებისათვის. ასევე, გაიმართა დოკუმენტური ფილმის ჩვენება.

ტრენინგის მიზანი იყო შშმ პირთა განსაკუთრებული საჭიროებების, არსებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი რეგულაციების, ინკლუზიური განათლებისა და აღნიშნულ პირთა მიმართ სწორი მიდგომების ჩამოყალიბების მიზნით, სკოლის მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება.

6. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული ოფისების საქმიანობა

6.1. შეხვედრა სამეგრელოს რეგიონის სკოლის მოსწავლეებთან

27 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სამეგრელო-ზემო სვანეთის ოფისში სახალხო დამცველის რეგიონული რწმუნებული ბაგრატ ქირია და სამეგრელო-ზემო სვანეთის ოფისის უფროსი სპეციალისტი დავით ფაცაცია არასამთავრობო ორგანიზაცია ათინათის პროექტ „მომავალი თაობის“ მონაწილე სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ.

შეხვედრაში მონაწილე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალაბასთუმნის საჯარო სკოლის და ზუგდიდის №12 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებს ბაგრატ ქირიამ სახალხო დამცველის უფლება-მოსილება, ცენტრალური და რეგიონული ოფისების ყოველდღიური საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ის საკანონმდებლო ბაზა გააცნო, რომელიც სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირებას არეგულირებს.

7. სხვა სიახლეები

7.1. პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებულთა საქმეებზე კომისიამ ანგარიში წარმოადგინა

4 მაისს საჯარო სკოლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელმა კომისიამ ორწლიანი მუშაობის ანგარიში წარადგინა.

კომისიის საქმიანობაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. ანგარიშის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ ხაზი გაუსვა კომისიის საქმიანობის მნიშვნელობას ადამიანთა შელახული უფლებისა და სამართლიანობის აღდგენის პროცესში.

„კომისიამ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტებით და გადაწყვეტილებები მიიღო კონსესუსის წესით. ვფიქრობ, მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული კომისიის მიერ გამოვლენილი პრაქტიკა, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ ადამიანთა პოლიტიკური ნიშნით სისტემური დევნა.“ -განაცხადა პაატა ბელთაძემ.

კომისიის კომპეტენციაში შედიოდა 2006 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 14 იანვრამდე საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შესწავლა, შეფასება და კომპეტენციის ფარგლებში მინისტრისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე საჯარო სკოლებიდან პოლიტიკური ნიშნით უკანონოდ განთავისუფლებული 20 პირი სამსახურში უკვე აღადგინა.

7.2. კონკურსი ჟურნალისტებისთვის „კონფლიქტები და მათი ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე“

6 მაისს სახალხო დამცველმა კონკურსში „კონფლიქტები და მათი გავლენა ადამიანის უფლებებზე“ გამარჯვებული ჟურნალისტები დააჯილდოვა.

კონკურსი, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის პრობლემების გასაშუქებლად ჟურნალისტთა წახალისებას და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გზებზე დისკუსიის ინიცირებას ისახავდა მიზნად.

დამოუკიდებელმა ჟიურიმ პირველი ადგილი ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის ჟურნალისტს მზევინარ ხუციშვილს მიაკუთვნა ბლოგისთვის – „ПОСТОЯННЫЕ ГОСТИ ДЕТСКОГО САДА“;

მეორე ადგილი რადიო თავისუფლების ჟურნალისტს გოგიტა აფციაურს ერგო რადიო სიუჟეტისთვის – „ახალი წელი ზარდიაანთკარში“;

მესამე ადგილი „რუსთავი 2–ის“ ჟურნალისტმა დავით ქაშიაშვილმა დაიმსახურა სიუჟეტისთვის, რომელიც გამყოფი ხაზის მეორე მხარეს საფლავების მონახულების პრობლემას ასახავდა.

7.3. ევროკომისიის პროგრეს-ანგარიში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ

8 მაისს ევროკომისიამ საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ მე-3 პროგრეს-ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველომ დროის მცირე მონაკვეთში ფუნდამენტური უფლებების სფეროში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. თანდათან ხორციელდება ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ეფექტური იმპლემენტაცია; ყალიბდება თანასწორობის უზრუნველყოფის სამართლებრივი ჩარჩო და მისი პრაქტიკაში იმპლემენტაციის ღონისძიებები; ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი გადამწყვეტ როლს თამაშობს.

23-27 თებერვალს ევროკავშირის ექსპერტთა შემფასებელი მისია საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს სახალხო დამცველის, როგორც ქვეყნის თანასწორობის ორგანოს უფლებამოსილება, საქართველოს სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტის საქმიანობა და სამო-

მავლო გეგმები, საქართველოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და პოლიტიკის იმპლემენტაციის ეფექტურობა, ანტიდისკრიმინაციულ ნორმებთან საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისობა, ასევე თანასწორობის შესახებ სამოქალაქო ცნობიერების კამპანიების წარმოება.

7.4. შეხვედრა უცხოელ სტუდენტებთან

22 მაისს სახალხო დამცველის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი ნიკო თათულაშვილი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მედეა გუგეშაშვილი და აპარატის სხვა თანამშრომლები საქართველოში საგანმანათლებლო მისიით მყოფ უცხოელ სტუდენტებს შეხვდნენ. ნორვეგიის, სომხეთისა და აზერბაიჯანის სტუდენტები საქართველოში გამოხატვის თავისუფლების მდგომარეობით იყვნენ დაინტერესებული.

შეხვედრა უცხოელ სტუდენტებთან სახალხო დამცველის ოფისში

სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელმა ნინო ათაბეგაშვილმა საქართველოში გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო გარანტიებსა და გამოწვევებზე, ასევე ამ უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით პრაქტიკაში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა. ამასთან, სტუდენტებს განუმარტეს საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებები და გამოხატვის თავისუფლების მიმართულებით საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესაბამისი ორგანოებისადმი გაცემული რეკომენდაციები.

7.5. საკონსტიტუციო სასამართლომ უჩა ნანუაშვილის სარჩელი დააკმაყოფილა

28 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ დააკმაყოფილა სარჩელი – „საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს საარჩევნო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ადგენდა 73 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის განსაზღვრის წესს.

სადავო ნორმების თანახმად, საპარლამენტო არჩევნებისათვის თითოეული მუნიციპალიტეტი, თბილისის გარდა, წარმოადგენდა ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქს, ხოლო თბილისში იქმნებოდა 10 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. მოსარჩელეების მოსაზრებით, მაჟორიტარულ საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმები არ იყო თანაბარი ძალის მქონე. მაგალითად, საბურთალოს საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული 128 545 ამომრჩეველი ირჩევდა ერთ მაჟორიტარ დეპუტატს, იმ დროს, როდესაც, ყაზბეგის საარჩევნო ოლქში ერთ მაჟორიტარ დეპუტატს ირჩევდა მხოლოდ 5 810 ამომრჩეველი. ამდენად, ყაზბეგის ამომრჩევლის ხმა 22-ჯერ უფრო წონადი იყო, ვიდრე საბურთალოს საარჩევნო ოლქის ამომრჩევლის ხმა, რაც აშკარად მეტყველებდა სისტემის დისკრიმინაციულობაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმების მიღებით საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო ოლქები მექანიკურად დაუკავშირა მუნიციპალიტეტებს, ისე, რომ არ გაითვალისწინა მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა. რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი გადახრა ხმათა თანაბრობის პრინციპიდან და არათანაზომიერად შეამცირა ამომრჩეველთა დიდი ნაწილის გავლენა საარჩევნო პროცესებზე.

საკონსტიტუციო სარჩელი უჩა ნანუაშვილმა „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ხელმძღვანელობისას – 2012 წელს მოამზადა.

8. მნიშვნელოვანი თარიღები

8.1. სახალხო დამცველის განცხადება 1 მაისთან დაკავშირებით

1 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო დღეს საქართველოს სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება შრომითი უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

2013 წლის ზაფხულში შრომის კოდექსში შეტ-

ანილი დადებითი ცვლილებების მიუხედავად, მათი გარკვეული ნაწილი პრაქტიკაში სათანადოდ დანერგილი არ არის. შეჩერებულია ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესების მიზნით გაცხადებული შრომის კოდექსის რეფორმის მეორე ტალღა.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს შრომის უსაფრთხოების კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა. სახალხო დამცველის ხელთ არსებული მონაცემებით, 2013 წელს შრომითი მოვალეობების შესრულებისას დაშავდა 111 და გარდაიცვალა 23 პირი, ხოლო 2014 წელს დაშავდა 72 და გარდაიცვალა 46 პირი.

ჯერ კიდევ 2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, რათა დაწყებულიყო მუშაობა დასაქმებულთა ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოთი უზრუნველყოფისათვის ცალკეული საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებისა და შრომის ინსპექციის შექმნის მიზნით. სამწუხაროდ, ეს რეკომენდაცია ამ დრომდე არ შესრულებულა.

8.2. განცხადება ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

17 მაისი ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა, რომლის მიზანს ძალადობის დაგმობა და ლგბტ ადამიანების მიმართ სოლიდარობის გამოხატვა წარმოადგენს. სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში, ძალადობისა და ჰომოფობიური გამოვლინებების ყველაზე მეტი შემთხვევა, სწორედ, ამ დღეს დაფიქსირდა.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისადმი არაერთი მოწოდების მიუხედავად, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და შემწყნარებლობის კულტურის ჩამოყალიბებისათვის ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. კვლავ პრობლემას წარმოადგენს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დროული, ეფექტური და ანგარიშვალდებული გამოძიების წარმართვა.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და საზოგადოებას, მაქსიმალურად შეეწყოს ხელი სიძულვილით განპირობებული ძალადობრივი ქმედებების პრევენციასა და ჰომოფობიური გამოვლინებების აღკვეთას.

8.3. 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა

1918 წლიდან 26 მაისი ქვეყნის თავისუფლების სიმბოლოს წარმოადგენს. საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა გულითადად მიულოცა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი საქართველოს თითოეულ მოქალაქეს და წარმატება უსურვა დამოუკიდებელი, მაღალგანვითარებული, სტიგმისა და ძალადობისაგან თავისუფალი საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

სახალხო დამცველის განცხადებით, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შემდგომი განმტკიცებისთვის უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელ პატივისცემაზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა, საზოგადოებაში თანასწორობის დამკვიდრება და ყველა მოქალაქისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

9. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

9.1. 2013 წლის 17 მაისის აქციის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

12 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–3 (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა) და მე–11 მუხლების დარღვევა (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) მე–14 მუხლთან მიმართებით (დისკრიმინაციის აკრძალვა).

საქმე ეხება 2012 წლის 17 მაისს თბილისში დაგეგმილ მშვიდობიანი დემონსტრაციის ჩატარებას, რომლის მონაწილეებიც ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნას გეგმავდნენ. აქციის ჩატარებას ხელი ანტიჰომოფობიური დემონსტრაციის მოწინააღმდეგე დემონსტრანტებმა შეუშალეს. მათ მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. პროკურატურამ ფიზიკური დაზიანებების ფაქტზე 2012 წლის ოქტომბერს ორ საქმეზე დაიწყო გამოძიება, რომელებიც დღემდე ჭიანურდება. ამასთან, ორი კონტრდემონსტრანტი, რომლებიც საზო-

გადოებრივი წესრიგის მსუბუქი დარღვევის გამო დააკავეს, 100–100 ლარით დაჯარიმდნენ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლებამ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა იმ შესაძლო საფრთხეების შესახებ, რომელიც დემონსტრაციის ჩატარებას ახლდა თან. შესაბამისად, ვალდებული იყო მიეღო ადეკვატური დაცვის ზომები აქციის მშვიდობიანად ჩატარებისათვის, რაც ვერ უზრუნველყო.

სასამართლომ დაადგინა, რომ მობილიზებული იყვნენ არასაკმარისი რაოდენობის პოლიციელები და მათ დაუშვეს დაძაბულობის ფიზიკურ ძალადობაში გადაზრდა. გარდა ამისა, მშვიდობიანი აქციის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველყოფის ნაცვლად, პოლიციამ დემონსტრანტების დაკავება და ევაკუირება დაიწყო.

რაც შეეხება გამოძიებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა განამტკიცებს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციას, როგორც დამამძიმებელ გარემოებას. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას გამოძიება აღნიშნული მიმართულებით უნდა წარემართა, რაც მათ ვერ განახორციელეს.

სასამართლოს მიიჩნევს, რომ სექსუალური უმცირესობების მიმართ ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის დამოკიდებულების გათვალისწინებით, ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა დემონსტრაციასთან დაკავშირებული დაძაბულობის საფრთხეების შესახებ. შესაბამისად, დემონსტრაციის მშვიდობიანი ჩატარებისთვის, ხელისუფლება ვალდებული იყო მიემართა ყველა შესაძლო საშუალებისთვის, მაგალითად დემონსტრაციამდე საჯარო განცხადებების გაკეთებით – ტოლერანტობის ადვოკატირების, მომრიგებელი პოზიციით გამოსვლის, ან შესაძლო სასჯელის ხასიათის თაობაზე პოტენციური დამნაშავეების გაფრთხილების მიზნით.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საქართველომ 13 განმცხადებელს, რომელიც აღნიშნულ დემონსტრაციაში მონაწილეობდა 2 ათასიდან 4 ათას ევრომდე უნდა გადაუხადოს თითოეულს (ზიანის მიხედვით), ხოლო ორგანიზაცია „იდენტობას“ 1 500 ევრო მორალური ზიანისთვის. ჯამში საქართველომ განმცხადებლებს 33 500 ევრო უნდა გადაუხადოს.

9.2. უკანონოდ შეძენილი ქონების ჩამორთმევით არ დარღვეულა განმცხადებლების უფლება საკუთრების შეუფერხებლად სარგებლობის შესახებ

12 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „გოგიტიძე საქართველოს წინააღმდეგ“ არ დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების უფლება) დარღვევა. საქმე ეხება ეროვნული სასამართლოს მიერ ქონების ჩამორთმევის მიზნით დაწესებულ ღონისძიებას.

სერგო გოგიტიძეს, რომელსაც 1994–1997 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ხოლო 1997–2004 წლებში აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის პოსტი ეკავა, ბრალად, სხვა დანაშაულებთან ერთან, თანამდებობის ბოროტად გამოყენება და ფულის გამოძალვა ედებოდა. ქონების ჩამორთმევის პროცესი 2004 წელს – ხელისუფლების სათავეში ახალი პოლიტიკური ძალების მოსვლის შემდეგ დაიწყო.

2004 წლის 10 სექტემბერს აჭარის უზენაესმა სასამართლომ ზოგიერთი კუთვნილი ქონების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება სერგო, თენგიზ და ალექსანდრე გოგიტიძეების დაუსწრებლად მიიღო, რომლებსაც ორჯერ გაეგზავნათ სასამართლოს შეტყობინება, მაგრამ ისინი არ გამოცხადნენ სასამართლოს წინაშე.

განმცხადებლები მათ საქმეში 2004 წლის 13 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებისთვის უკუძალის მინიჭებას უკანონოდ მიიჩნევენ. კერძოდ, საუბარია ქონების ჩამორთმევის პროცედურების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებებზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს ცვლილებები ახლებურად აწესრიგებდა მხოლოდ არსებულ ანტი–კორუფციული სამართლებრივი სტანდარტების მატერიალურ ასპექტებს, რადგანაც ჯერ კიდევ 1997 წლის საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კორუფციული დანაშაულები. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ აკონტროლონ საკუთრებით სარგებლობის საკითხები ახალი უკუძალის მქონე დებულებების საფუძველზე, რომლებიც ახლებურად არეგულირებს ფაქტობრივ გარემოებებს ან სამართლებრივ ურთიერთობებს. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლებისთვის ქონების ჩამორთმევა კანონიერი იყო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამართლიანი ბალანსი დაცულ იქნა განმცხადებლების ქონების ჩამორთმევის ღონისძიებასა და საჯარო სამსახურში კორუფციასთან ბრძოლის ზოგად პრინციპს შორის. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, განმცხადებლებს ქონდათ სასამართლოს მეშვეობით მათი უფლებების დაცვის შესაძლებლობა და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები არ იყო თვითნებური.

გარდა ამისა, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 2004 წლის 13 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც დაინერგა ქონების ჩამორთმევის პროცედურები, მნიშვნელოვნად დაეხმარა საქართველოს კორუფციასთან ბრძოლის სწორი მიმართულებით განვითარებაში. შესაბამისად საქმეზე სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების უფლება) დარღვევა.

10. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

10.1. ახალი თანამშრომელი

მაისის თვიდან, სახალხო დამცველის აპარატში მუშაობა დაიწყო საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ მედეა გუგეშაშვილმა.

10.2. მომართვიანობის სტატისტიკა

აპრილის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 627 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ, 476 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი – 1
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი – 40
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი – 207
- რეგიონული სამმართველო – 153
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი – 24
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი – 9
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი – 20
- ანალიტიკური დეპარტამენტი – 6
- თანასწორობის დეპარტამენტი – 12
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი – 4



11. კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ;
577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.36
მობ.: 577 048267
ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ ხიდაშელი,
თეა ბაციკაძე